საიდ. №72283/03

IR 1025706

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №76-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის უკრაინსკო-შვეიტსარსკე სპილნე პიდმპრიემსტვო უ ფორმი ტოვარისტვა ზ ობმეჟენოიუ ვიდპოვიდალნისტიუ „უკრვერმუტ +კო” (Ukrainsko-shveytsarske spilne pidpryemstvo u formi tovarystva z obmezhenoyu vidpovidalnistyu "Ukrwermut+Co") სააპელაციო საჩივარი (საიდ. №76-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 მარტის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №399/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ДОМ КОФЕ” (საიდ. №72283/03 IR 1025706) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 მარტის №399/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „ДОМ КОФЕ“ სემანტიკურად მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით “კაფეა გმბჰ“–ს (CAFEA GmbH) სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „CAFEAHAUS“ (რეგ. №998631, რეგ. თარიღი: 17/12/2008). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი ქართულად ნიშნავს „ყავის სახლს“, რაც ინგლისურად ნიშნავს “Coffee house”, აღნიშნული ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 30-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, 30-ე კლასის საქონლის ნაწილში.

აპელანტი კომპანია „უკრაინსკო-შვეიტსარსკე სპილნე პიდმპრიემსტვო უ ფორმი ტოვარისტვა ზ ობმეჟენოიუ ვიდპოვიდალნისტიუ „უკრვერმუტ +კო” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც გამოსახულებით, ასევე ჟღერადობრივად. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ასოებით, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშანი კირილიცათი. გარდა ამისა, განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია, ვინაიდან ერთი ასო წარმოადგენს სტილიზებული ყავის მარცვლის გამოსახულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 მარტის საერთაშორისო სასაქონლო

ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №399/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ДОМ КОФЕ” (საიდ. №72283/03 IR 1025706) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი “ДОМ КОФЕ” (საიდ. №72283/03 IR 1025706) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი “CAFEAHAUS” (IR 998631) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერი ნაწილის გარდა შეიცავს ასევე, ყავის მარცვლის გამოსახულებას. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე ასომთავრული სტილიზებული ასოებით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, რომელიც სიტყვიერ ნიშანს წარმოადგენს შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ორსიტყვიანია, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი ერთსიტყვიანი.

განსხვავებულია დაპირისპირიბეული სასაქონლო ნიშნების ჟერადობა,

რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც “დომ კოფე”, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც “ქაფეაჰაუს”.

ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი “ДОМ КОФЕ” ქართულად ნიშნავს “ყავის სახლს”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი “CAFEAHAUS” ფანტაზიურია და შინაარსობრივი მნიშვნელობა არ გააჩნია.

ამდენად, სასაქონლო ნიშნები საერთო შთაბეჭდილებით იმდენად განსხვავდება, რომ ერთ სასაქონლო ბაზარზე, მსგავსი საქონლის პირობებში, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების თანაარსებობა არ გამოიწვევს აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნი “ДОМ КОФЕ” (საიდ. №72283/03 IR 1025706) უნდა დარეგისტრირდეს განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „უკრაინსკო-შვეიტსარსკე სპილნე პიდმპრიემსტვო უ ფორმი ტოვარისტვა ზ ობმეჟენოიუ ვიდპოვიდალნისტიუ „უკრვერმუტ +კო”

(Ukrainsko-shveytsarske spilne pidpryemstvo u formi tovarystva z obmezhenoyu vidpovidalnistyu "Ukrwermut+Co") სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 მარტის №399/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს “ДОМ КОФЕ” (საიდ. №72283/03 IR 1025706) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	მ. ფრუიძე
წევრები:	ლ. კერესელიძე
	ს. დუმბაძე